დანართი №2

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მიერ „საწყობის ოპერირების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ

ექსპერტთა ჯგუფის წევრები
თავმჯდომარე: ლევან მადათოვი
წევრი: ტიტე ბოლქვაძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა: საჯარო სამართლის იურიდიული პირი

საიდენტიფიკაციო კოდი: **211349192**

სახე:

- [x] უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება
- [ ] ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება
- [ ] პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2025 წლის 14 მაისის №522078 ბრძანების საფუძველზე (ცვლილება №601793, 30.05.2025) 2025 წლის 9 ივნისს განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი სსიპ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში (ქ. თბილისი კოსტავას №68) „საწყობის ოპერირების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31 - ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით დადგენილი სტანდარტების შესაბამისობის დადგენის მიზნით. ვიზიტი წარიმართა წინასწარ შედგენილი დღის წესრიგის შესაბამისად. მოხდა გასაუბრება დაწესებულების ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძვანელთან, პროფესიული განათლების მასწავლებლებთან. დათვალიერებულ იქნა პრაქტიკის ობიექტები შპს გორგიას საწყობი (ქ.თბილისი, წყალსადენის ქ.7), შპს ავტობანი (ქ. თბილისი, ფეიქრების ქ. 38) ასევე ტექნიკური უნივერსიტეტის ბაზაზე პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. ვიზიტის დღის ბოლოს ექსპერტთა ჯგუფმა დაწესებულების ადმინისტრაციას გააცნო ვიზიტის ძირითადი მიგნებები.

III. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

-

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი II. სტანდარტთან შესაბამისობა და რეკომენდაციები

I. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება
2) საგანმანათლებლო პროგრამები	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

II. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

არ დაფიქსირებულა

III. სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

-

IV. განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

2.4.1.5 პრაქტიკის ხელშეკრულების დანართით ირკვევა, რომ პრაქტიკის ობიექტზე გატანილია 4 მოდულის სწავლის შედეგების გარკვეული საათები (სულ 6 სწავლის შედეგი). არც მოდულების დამხმარე ჩანაწერებში და არც პრაქტიკის ხელშეკრულების დანართში არაა მითითებული მოდულის რომელი სწავლის შედეგების მიღწევა ხორციელდება პრაქტიკის ობიექტზე. მიზანშეწონილია, ხელშეკრულების დანართებში, ან მოდულის დამხმარე ჩანაწერებში მიეთითოს მოდულის რომელი სწავლის შედეგი მიიღწევა პრაქტიკის ობიექტზე.

V. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

-

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი III. ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

I. ზოგადი ინფორმაცია

პროგრამის სახელწოდება	საწყობის ოპერირება
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია საწყობის ოპერირებაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0416
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	აკადემიური საბჭოს 2025 წლის 17 აპრილის №01-05-04/53 დადგენილება
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. თბილისი, მ. კოსტავას ქ. №68, სტუ პირველი კორპუსი შპს „გორგია“, შპს „ავტობანი“, შპს „მინიმარტს“, შპს „გაკოტერმინალი“
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალურ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	კოოპერაციული
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	30
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	90
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	120

II. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი IV. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გადაწყვეტილება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება მიზანშეწონილობის დასაბუთებას და შეესაბამება სატრანსპორტო სისტემებისა და მექანიკის ინჟინერიის ფაკულტეტის მისიას და სტრატეგული განვითარების გეგმას.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავებულია საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში ,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, შეფასების და განვითარების“ წესის (დამტკიცებული სტუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 28 ივნისის № 01-05-04/176 დადგენილებით)შესაბამისად.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,საწყობის ოპერირება'' შესაბამისობაშია სტუ-ს მისიასა და სტრატეგიული განვითარების გეგმასთან, რომელიც მიზნად ისახავს უზრუნველყოს: პროფესიული განათლების მიმართულებით აღზარდოს მაღალკვალიფიციური საზოგადოების საჭიროებაზე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ორიენტირებული კადრი; გაითვალისწინოს თავისუფალი ბაზრის მოთხოვნები პროფესიული განათლების განხორციელების პროცესში; დანერგოს და განავითაროს, მთელი სიცოცხლის განმავლობაში, სწავლისა და კვალიფიკაციის ამაღლების მოქნილი სისტემა.

2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე განსაზღვრული დაშვების წინაპირობები შესაბამისობაშია პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის - „საწყობის ოპერირება“ განსაზღვრულ წინაპირობებთან, კერძოდ დაშვების წინაპირობებად განსაზღვრულია სრული ზოგადი განათლება. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვის პირობები განისაზღვრება სსიპ ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2022 წლის 8 დეკემბრის #01-05-04/181 დადგენილებით „საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“ (ცვლილება შევიდა სსიპ ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2022 წლის 29 დეკემბრის #01-05-04/230 დადგენილებით).

3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით

სსიპ ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2022 წლის 18 აპრილის N01-05-04/34 დადგენილებით დამტკიცებულია სსიპ ტექნიკური უნივერსიტეტში პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია, რომლის მიხედვითაც დაწესებულების პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება:

- A სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა;
- B სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა;
- C სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა ან სასწავლო გარემოს ფართი;
- დასაშვებია ერთ სივრცეში ორი ან მეტი ტიპის სასწავლო გარემოს კომბინირებული მოდელის შექმნა. მაგალითად ერთ სივრცეში A და B, A და C, B და C ან A, B და C გარემოს კომბინირება.
- დასაშვებია სხვადასხვა პროგრამის განხორციელების მიზნებისათვის ერთი და იმავე სივრცის გამოყენება თუ ის თავსებადია სასწავლო გარემოს და ტექნიკური აღჭურვილობის ნორმატივების თვალსაზრისით, კვირეული დატვირთვის გათვალისწინებით, ასევე ცხრილის შედგენის შესაძლებლობა შეჭრილი ცხრილის პრინციპით.
- სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება პრაქტიკის ობიექტთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში მითითებული პრაქტიკის ობიექტის მიერ პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთაზღვრული რაოდენობის ერთდროულად მიღების შესაძლებლობა.
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობა;
- საწარმოო პრაქტიკის ობიექტების რესურსი;
- პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული საჭირო ადამიანური რესურსის რაოდენობა.

შესაძლებელია ერთმა პროფესიული განათლების მასწავლებელმა განახორციელოს რამდენიმე სხვადასხვა მოდული შრომის კოდექსით განსაზღვრული ჩასატარებელი კვირეული საათების (კვირაში მაქსიმუმ 40 საათიანი დატვირთვა) გათვალისწინებით შედგენილი სასწავლო განრიგის მიხედვით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების მიერ წარმოდგენილია პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ,,საწყობის ოპერირება“ მოთხოვნილი პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობისა და განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება. პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობასთან დაკავშირებით დოკუმენტში აღნიშნულია, რომ არსებული კვოტისათვის დაწესებულებას ყავს სათანადო კვალიფიკაციისა და გამოცდილების მქონე პროფესიული განათლების მასწავლებლები, გააჩნია ყველა საჭირო რესურსი და უზრუნველყოფს პრაქტიკის სრულყოფილ გატარებას პარტნიორ კომპანიებში. აღნიშნული პროფესიული პროგრამისთვის დადგენილია საერთი კვოტა 30 პროფესიული სტუდენტის ოდენობით. დაწესებულება აპირებს ერთ მიღებაზე 15 პროფესიული სტუდენტის მიღებას.

პასუხისმგებელ პირთა ინტერვიუირებისა და დაწესებულების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერების, ასევე, პროგრამის ანალიზითა და პარტნიორ ორგანიზაციასთან გაფორმებული ხელშეკრულებით დასტურდება, რომ დაწესებულებამ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობა განსაზღვრა არსებული მეთოდოლოგიის შესაბამისად.

4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას

დაწესებულების მიერ შემუშავებულ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საწყობის ოპერირება“ მოდულების განხორციელებისათვის დამტკიცებული აქვს საჭირო მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობა და რესურსების სია, რომლებიც უზრუნველყოფს მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. მოდულებში მითითებულია მოდულების განხორციელებისათვის საჭირო საგანმანათლებლო რესურსი, რომელთა შინაარსი შესაბამისობაშია შესაბამისი მოდულის სწავლის შედეგებთან.რამოდენიმე მოდულში ჩარჩენილია უკვე გაუქმებული საკანონმდებლო აქტები. მიუხედავად ამისა მოდულებში არსებული დანარჩენი საგანმანათლებლო რესურსი იძლევა სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას.დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია ან ამოიღოს უკვე გაუქმებული საკანონმდებლო აქტები, ან ჩაანაცვლოს მოქმედით.

5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;

დამტკიცებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას „საწყობის ოპერირება“ არ აქვს არჩევით მოდულები.

6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ

სსიპ ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2019 წლის 28 ივნისის N01-05-04/175 დადგენილებით დამტკიცებულია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, შეფასების და განვითარების წესი. აღნიშნული წესის მიხედვით საგანმანათლებლო პროგრამას ამტკიცებს სტუ-ს აკადემიური საბჭო. შესაბამისად, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა “საწყობის ოპერირება“ დამტკიცებულია უფლებამოსილი პირის - სსიპ ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ 2025 წლის 17 აპრილის №01-05-04/53 დადგენილებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „საწყობის ოპერირება“ შემუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის - „საწყობის ოპერირება“ საფუძველზე. შესაბამისად, წარმოდგენილი პროგრამის სახელწოდება სრულ შესაბამისობაშია როგორც შინაარსთან, ასევე პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებთან და არ არის შეცდომაში შემყვანი.

8.პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა **საწყობის ოპერირება** შემუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის „საწყობის ოპერირება“ (სარეგისტრაციო ნომერი 04.1.1) საფუძველზე და მომზადებულია "საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, შეფასების და განვითარების წესის“ მიხედვით, პროცედურების სრული დაცვით. პროგრამით განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, მიზნები, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, მისაღწევი სწავლის შედეგები, შეფასების მიმართულებები, პროგრამის მოცულობა, პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობა, კვალიფიკაციის მინიჭების პირობები და სხვა. საგანმანათლებლო პროგრამის პაკეტი შედგება პროგრამის ძირითადი დოკუმენტის, მოდულების, სასწავლო გეგმისგან (მათ შორის ქართული ენის A2 გათვალისწინებით და მის გარეშეც), პროგრამის პაკეტს თან ერთვის ინფორმაცია ადამიანური და მატერიალური რესურსების შესახებ. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 3 ზოგად მოდულს 9 კრედიტის მოცულობით, 8 სპეციალიზაციის მოდულს 81 კრედიტის მოცულობით.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სსიპ - საქართველოს ტექნიკურის უნივერსიტეტის მისია *https://gtu.ge/GTU/About/mission.php*
- სსიპ - საქართველოს ტექნიკურის უნივერსიტეტის განვითარების სტრატეგიის გეგმა 2022-2028 წწ https://gtu.ge/GTU/About/documents.php
- სატრანსპორტო სისტემებისა და მექანიკის ინჟინერიის ფაკულტეტის დებულება http://gtu.ge/Stmm/Pdf/FAKULTETIS%20DEBULEBA+.pdf;
- სტუ-ს სატრანსპორტო სისტემებისა და მექანიკის ინჟინერიის ფაკულტეტის მიზნები და ამოცანები https://gtu.ge/stmm/about/faculty/goals-objectives.php
- სსიპ ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2022 წლის 8 დეკემბრის #01-05-04/181 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“ (ცვლილება შევიდა სსიპ ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2022 წლის 29 დეკემბრის #01-05-04/230 დადგენილებით).
- სსიპ ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2022 წლის 18 აპრილის N01-05-04/34 დადგენილებით დამტკიცებული სსიპ ტექნიკური უნივერსიტეტში პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია.
- სსიპ ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2019 წლის 28 ივნისის N01-05-04/175 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, შეფასების და განვითარების წესი.
- დაინტერესებულ მხარეებთან ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით

პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგები მიიღწევა დაწესებულებისა და პარტნიორი კომპანიების მფლობელობაში არსებული მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობით, რომელიც პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობის ადეკვატურია. სწავლებისათვის უნივერსიტეტს გააჩნია 15 პროფესიულ სტუდენტზე გათვლილი A/B ტიპის სასწავლო გარემო (აუდიტორია №617) რომელიც აღჭურვილია შემდეგი ინვენტარით:

- 15 ერთეული მაგიდა და სკამი პროფესიული სტუდენტისათვის;
- 1 ერთეული მაგიდა და სკამი პროფესიული განათლების მასწავლებლისათვის;
- 1 ერთეული დაფა;
- 1 ერთეული პროექტორი და პროექტორის ეკრანი;
- 1 ერთეული კომპიუტერი პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის;
- 15 ერთეული კომპიუტერი პროფესიული სტუდენტებისთვის;
- 1 ერთეული პრინტერი.

პრაქტიკის ხელშეკრულებით C ტიპის სასწავლო გარემოდ განსაზღვრულია შპს „ავტობანი“, შპს „მინიმარტს“, შპს„ გორგია“ და შპს „გაკო ტერმინალი“, რომელიც მიიღებს 15 პროფესიულ სტუდენტს.

დაწესებულების მფლობელობაში არსებული სასწავლო ფართი და შესაბამისი აუდიტორიების აღჭურვილობა იძლევა საშუალებას სასწავლო პროცესი სრულყოფილად განხორციელდეს. კვირის განმავლობაში, ხუთდღიანი სწავლებით შეჭრილ ცვლაში შესაძლებელი იქნება მოთხოვნილი საერთო რაოდენობის (15 პროფესიული სტუდენტი) თეორიული მომზადების ერთდროულად გატარება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროფესიული პროგრამისათვის ,,საწყობის ოპერირება“ დაწესებულებას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება 4 ორგანიზაციასთან:

- #01-08-15/462-2025-2 10/04/2025, შპს ავტობანი 2000 – 15 პროფესიული სტუდენტი;
- #01-08-15/372-2025-2 19/03/2025, შპს გაკო ტერმინალი – 15 პროფესიული სტუდენტი;
- #01-08-15/535-2025-2 24/04/2025, შპს გორგია – 15 პროფესიული სტუდენტი;
- #01-08-15/396-2025-2 19/03/2025, შპს მინიმარტს – 15 პროფესიული სტუდენტი.

2. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;

საგანმანათლებლო პროგრამით „**საწყობის ოპერირება“** განსაზღვრული მოდულების განხორციელებაში ჩართულია 25 პროფესიული განათლების მასწავლებელი. მათ შორის დარგობრივი მოდულების განხორციელებაში ჩართულია 17 დარგის წარმომადგენელი; დაწესებულებას თითოეულ მოდულზე განსაზღვრული აქვს მინიმუმ 2 და მეტი განმახორციელებელი პირი. ვიზიტის ფარგლებში შესწავლილ იქნა პერსონალის პირადი საქმეები. დაწესებულებას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს პროფესიული განათლების მასწავლებელთა დატვირთვის მეთოდოლოგია/ტაბელი, რომლის გათვალისწინებით ყოველი სასწავლო წლის დაწყების წინ დაგეგმილია პროფესიული განათლების მასწავლებელთა საათობრივი დატვირთვის სქემების შედგენა, რათა პერსონალის დატვირთვა არ აცდეს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;

სსიპ ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2019 წლის 31 ივლისის N01-05-04/220 დადგენილებით დამტკიცებულია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტში პროფესიული მასწავლებლის სამსახურში აყვანის წესი, რის მიხედვითაც, პროფესიული განათლების მასწავლებლის შერჩევა ხდება დეპარტამენტის ხელმძღვანელის და პროგრამის დროებითი ხელმძღვანელის მიერ. შერჩევისას ითვალისწინებენ პირის კვალიფიკაციას, შრომით გამოცდილებას და კომპეტენციებს და მათ შესაბამისობას დასაკავებელ თანამდებობასთან. დეპარტამენტის ხელმძღვანელი მოხსენებითი ბარათით მიმართავს ფაკულტეტის დეკანს შერჩეულ პირთან წინარე შრომითი ხელშეკრულების გაფორმების თაობაზე. ფაკულტეტის დეკანი საკითხის განხილვას და გადაწყვეტილების მიღებას ფაკულტეტის საბჭოზე. დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში პირის მიერ ხელმოწერილი წინარე ხელშეკრულება ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ოქმთან ერთად წარედგინება უნივერსიტეტის რექტორს. იმ შემთხვევაში თუ ამ წესით ვერ მოხერხდა შესაბამისი კვალიფიკაციის პირების შერჩევა, მასწავლებელთა შესარჩევად ცხადდება ღია კონკურსი. კონკურსის გამოცხადება ხდება რექტორის ბრძანებით განსაზღვრული წესით.

პროფესიული განათლების მასწავლებლების პირად საქმეებში დაცულია პერსონალის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დიპლომები და სერტიფიკატები, რომელთა საფუძველზეც, პროფესიული განათლების მასწავლებელთა კვალიფიკაცია იძლევა მოდულების სწავლის შედეგები მიღწევის შესაძლებლობას. მათი კვალიფიკაცია შეესაბამება დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს.

ვიზიტის პერიოდში განხორციერლდა მოდულების განმახორციელებელ პირებთან ინტერვიუ. გამოიკვეთა, რომ პროგრამის განმახორციელებლებს ხშირად უტარდებათ სხვადასხვა ტიპის კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები თუ ტრენინგები როგორც დარგობრივ კომპეტენციაში, ასევე, სწავლებისა და შეფასების მიმართულებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;

სსიპ ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2022 წლის 14 სექტემბრის N01-05-04/118 დადგენილებით დამტკიცებულია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის სტატუსის შესახებ. აღნიშნული დადგენილებით პროგრამის ხელმძღვანელი არის პროგრამის შინაარსზე, ხარისხზე, განხორციელებასა და განვითარებაზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც უძღვება პროგრამის შემუშავებასა და მისი განვითარების პროცესებს. პროგრამის ხელმძღვანელს უნდა გააჩნდეს პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, მისი კვალიფიკაცია უნდა დასტურდებოდეს სფეროს შესაბამისი განათლებით/პრაქტიკული გამოცდილებით.

ვიზიტის დროს გადამოწმდა პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმე და მოხდა მასთან გასაუბრება. ექსპერტთა შეფასებით, პროგრამას ჰყავს დაწესებულების მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, რომლის ხელმძღვანელობა განსაზღვრულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების აქტით, ხოლო ფუნქცია-მოვალეობები სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით.
ექსპერტთა ჯგუფმა განახორციელა ინტერვიურება პროგრამის ხელმძღვანელთან. პროგრამის ხელმძღვანელი იცნობს საკუთარ ფუნქცია-მოვალეობებს და მუშაობს პროგრამის განვითარების მიმართულებით. იღებს მონაწილეობას პროგრამის შეფასების, განვითარების, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაციის პროცესში.

5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში „**საწყობის ოპერირება**“ მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ბეჭდური და ელექტრონული სახით ხელმისაწვდომია როგორც უნივერსიტეტის ცენტრალურ, ასევე სატრანსპორტო სისტემებისა და მექანიკის ინჟინერიის ფაკულტეტის სამკითხველოში. სახელმძღვანელოები დამუშავებულია სათანადო წესით, მოდულებში მითითებულია მათი საბიბლიოთეკო კეტერები. დაწესებულებას დამტკიცებული აქვს „ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი“, რომლითაც განსაზღვრულია ბიბლიოთეკის ფუნქციონირების ძირითადი პრინციპები. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი გამოკრულია თვალსაჩინო ადგილას. დაწესებულება პროფესიულ სტუდენტებს სწავლის დაწყების დროს გააცნობს თუ როგორ შეუძლიათ აბონენტად დარეგისტრირება, რომ ისარგებლონ საბიბლიოთეკო რესურსებით.
ფაკულტეტის ბიბლიოთეკაში განთავსებულია ინტერნეტის ქსელში ჩართული 5 კომპიუტერი მკითხველებისთვის და ერთი კომპიუტერი ბიბლიოთეკარისთვის, საოფისე კომბაინი (მრავალფუნქციური პრინტერი). დაწესებულება სარგებლობს საბიბლიოთეკო პროგრამით, ასევე დაწესებულებას აქვს წვდომა სსიპ საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ვებ გვერდზე.

6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

დაწესებულებას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია, ასევე ჰყავს ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა ასისტენტი, რომლებიც მეთოდოლოგიის და სსსმ პირების საჭიროებების საფუძველზე უზრუნველყოფენ პროგრამით ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სასწავლო რესურსების ადაპტირდება სსსმ პირების საჭიროებებისა მოთხოვნილებების შესაბამისად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილ იქნა პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტი, რომლის მიხედვითაც განსაზღვრულია რენტაბელობის ზღვარი (7 პროფესიული სტუდენტი), ძირითადი შემოსავლები და ხარჯები. ბიუჯეტის მიხედვით ირკვევა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „**საწყობის ოპერირება**“ ფინანსურად მდგრადია, დაწესებულების ბიუჯეტი შედგება შემოსავლებისა და ხარჯების ნაწილისაგან, მისი მთავარი შემოსავლების წყაროა ვაუჩერული დაფინანსება, რომელიც სრულად აკმაყოფილებს პროგრამის შეუფერხებლად განხორციელების საჭიროებებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- პსდ-ს მიერ შევსებული ფორმა პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსის შესახებ, პერსონალის პირადი საქმეები;
- პსდ-ს მიერ შევსებული ფორმა პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსის შესახებ, მატერიალური რესურსების ფლობის დოკუმენტაცია;
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესი;
- პროფესიული განათლების მასწავლებლების სამსახურში აყვანის წესი;
- პროფესიული განათლების მასწავლებლების დატვირთვის გაანგარიშებიე წესი;
- ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი;
- პარტნიორ ორგანიზაციებთან გაფორმებული თანამშრომლობის მემორანდუმები;
- დაწესებულების/ პრაქტიკის ობიექტის პროგრამის განსახორციელებლად საჭირო მატერიალური რესურსების შეფასების შედეგები;
- ბიბლიოთეკაში არსებული სასწავლო რესურსი დამუშავებული საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად;
- პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტი;
- ინტერვიუს და დათვალიერების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვა

„პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, შეფასების და განვითარების“ წესის მე-8 მუხლის მიხედვით, სტუ-ში შემუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომელიც გამოიყენება სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად, თითოეული პროფესიული საგანმანათლო პროგრამის სტანდარტი მიზნად ისახავს ბაზრის მოთხოვნებზე ორიენტირებულ პროფესიული პროგრამების შეთავაზების გზით, საქართველოში პროფესიული განათლების გაუმჯობესება-განვითარებას და მაღალი საერთაშორისო სტანდარტის დაწესებას, რასაც წინ უძღვის შრომის ბაზრის ანალიზი, უკუკავშირი დაინტერესებულ მხარეებთან, კურსდამთვრებულთა დასაქმების მაჩვენებელის მოძიება, ანალიზი და სხვა.

2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

სტუ-ის მიერ შემუშავებული და დამტკიცებულია ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები და საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, შეფასების და განვითარების წესი, წესების საფუძველზე პროგრამაში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების მოქმედი სისტემით გათვალისწინებული ღონისძიებების შედეგების ანალიზის, პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტში შეტანილი ცვლილებების, შრომის ბაზრის მოთხოვნის (არჩევითი მოდულის შემთხვევაში) ან სხვა გარემოებების საფუძველზე. პროგრამაში ცვლილების ინიცირება შეუძლია სტუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსს, პროგრამის ხელმძღვანელს და პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებელს. პროგრამაში ცვლილების შეტანა ხორციელდება წინამდებარე წესით დადგენილი პროცედურებით. სტუ გაანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში განახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში **„საწყობის ოპერირება“** ცვლილებები(პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტთან შესაბამისობაში მოყვანა) განხორციელებულია აღნიშნული წესის დაცვით, რაც დასტურდება შესაბამისი მტკიცებულებებით.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, შეფასების და განვითარების წესი;
- ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები;
- კითხვარების ფორმები;
- გამოკითხვის შედეგები;
- პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებების შეტანის დამადასტურებელი დოკუმენტი(აკადემიური საბჭოს დადგენილება);
- გასაუბრების შედეგები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;

დაწესებულებას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, სასწავლო პროცესისის დაწყებამდე, მას შემდეგ, რაც დგინდება სწავლის დაწყების თარიღი, სასწავლო გეგმაში ხორციელდება თარიღების დაზუსტება(მოდულების დაწყება-დასრულების თარიღები), რომელიც ეგზავნება სასწავლო პროცესის მართვის სამსახურს და მტკიცდება უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოზე. პროგრამა განხორციელდება სასწავლო გეგმის შესაბამისად. პროგრამის სასწავლო გეგმაში დაცულია მოდულების ლოგიკური დაშვების წინაპირობები.

2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე

სტუ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე. პროგრამის ხელმძღვანელი ხვდება სტუდენტებს, აწვდის მათ ინფორმაციას პროგრამის და სასწავლო განრიგის შესახებ. დეტალები გაწერილია "სტუ-ში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესში".

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა **„საწყობის ოპერირება“** განხორციელდება სწავლების თანამედროვე მეთოდების და დარგის საჭიროებების გათვალისწინებით. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად გამოყოფილი აუდიტორია აღჭურვილია სწავლებისათვის საჭირო ტექნიკითა და რესურსით, დაწესებულებას ასევე შესყიდული აქვს პროგრამის განხორციელებისათვის სპეციფიკური ელექტრონული პროგრამა, რაც უზრუნველყოფს სწავლების პროცესში შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენების შესაძლებლობას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;

დაწესებულებას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, შეფასების და განვითარების წესი, რომლის მუხლი 6. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება აზუსტებს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინების საკითხებს, ინდივიდუალური სასწავლო გეგმა იქმნება სწავლის დაწყებიდან ერთი თვის განმავლობაში, მასწავლებლისა და ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტის მიერ სასწავლო პროცესზე დაკვირვების შედეგად და წარედგინება შესაბამისი ფაკულტეტის დეკანს (დამოწმდება ფაკულტეტის ბეჭდით და დეკანის ხელმოწერით). ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ფარგლებში ჩასატარებელი დამატებითი მეცადინეობების, რესურსის საჭიროებების და სხვ. შესახებ წერილობით ინფორმაციას ცენტრს წარუდგნეს ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი.

5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამა „საწყობის ოპერირება“ ითვალისწინებს პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტით განსაზღვრულ სწავლების მეთოდებს და დარგის ტექნოლოგიებს. სწავლების შედეგების მიღწევა დაგეგმილია როგორც დაწესებულების შენობაში, ასევე პარტნიორ დაწესებულებაში (საერთო ჯამში 6 სწავლის შედეგი). პროფესიული პროგრამისათვის ,,საწყობის ოპერირება“ დაწესებულებას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება 4 ორგანიზაციასთან:

- #01-08-15/462-2025-2 10/04/2025, შპს ავტობანი 2000 – 15 პროფესიული სტუდენტი;
- #01-08-15/372-2025-2 19/03/2025, შპს გაკო ტერმინალი – 15 პროფესიული სტუდენტი;
- #01-08-15/535-2025-2 24/04/2025, შპს გორგია – 15 პროფესიული სტუდენტი;
- #01-08-15/396-2025-2 19/03/2025, შპს მინიმარტს – 15 პროფესიული სტუდენტი.

განმავითარებელი რეკომენდაცია:

პრაქტიკის ხელშეკრულების დანართით ირკვევა, რომ პრაქტიკის ობიექტზე გატანილია 4 მოდულის სწავლის შედეგების გარკვეული საათები (სულ 6 სწავლის შედეგი). არც მოდულების დამხმარე ჩანაწერებში და არც პრაქტიკის ხელშეკრულების დანართში არაა მითითებული მოდულის რომელი სწავლის შედეგების მიღწევა ხორციელდება პრაქტიკის ობიექტზე. მიზანშეწონილია ხელშეკრულების დანართებში, ან მოდულის დამხმარე ჩანაწერებში მიეთითოს მოდულის რომელი სწავლის შედეგი მიიღწევა პრაქტიკის ობიექტზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

სასწავლო პროცესი ხორციელდება უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით. პროგრამით განსაზღვრული მოდულების სწავლებისთვის გამოიყენება დაწესებულების აუდიტორიები, სადაც უზრუნველყოფილია უსაფრთხო სასწავლო გარემო.

სსიპ ტექნიკური უნივერსიტეტის კანცლერის 2020 წლის 3 ნოემბრის #MES 6 20 0001061803 ბრძანებით დამტკიცებულია საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში შრომის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ღონისძიებების შესახებ. რაც შეეხება პროგრამით გათვალისწინებული მოდულების პრაქტიკულ კომპონენტების სწავლებას, რომელიც ხორციელდება დაწესებულების პარტნიორი ორგანიზაციის ბაზაზე, ხელშეკრულებაში გაწერილია პირობა, რის თანახმადაც ორგანიზაცია ვალდებულია უზრუნველყოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული პრაქტიკული სწავლის შედეგების მიღწევისთვის უსაფრთხო გარემო.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- **„საწყობის ოპერირება“** პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, სასწავლო გეგმა;
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- ინდ. სასწავლო გეგმების შემუსავების წესი;
- შრომის უსაფრთხოების პოლიტიკა;
- ინტერვიუს და დათვალიერების შედეგები.

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური

დაწესებულებას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წეის, რომელშიც გაწერილია პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასების საკითხები. წესი მოიცავს: შეფასების ინსტრუმენტის შემუშავების პროცედურების, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების, პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირებასთან დაკავშირებული საკითხების, აპელაციის წესის, შეფასების პროცესის ადმინისტრირების საკითხების, განმეორებითი შეფასების განხორციელების პროცედურის და წესის, მტკიცებულებების მოპოვება- შენახვის წესის შესახებ ინფორმაციებს, ამავე რეგულაციაში დაწესებულებას ასახული აქვს „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული მომზადების პროგრამის/პროფესიული გადამზადების პროგრამის სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმით განხორციელების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 9 აგვისტოს №416 დადგენილების მოთხოვნები და ინსტრუქციები შუალედური შეფასების შესახებ. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი მოიცავს ჩანაწერებს საკვალიფიკაციო გამოცდების ორგანიზების და ჩატარების შესახებ, რომლის დეტალური ინსტრუქციები შემუშავდება და დამტკიცდება დამატებითი რეგულაციების სახით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულებამ წარადგინა წინამორბედი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „გრაფიკული დიზაინის შესრულება“ ფარგლებში შემუშავებული შეფასების ინსტრუმენტები, მათ შორის ფორმატები, დავალებები და შესაბამისი ინსტრუქციები, რაც წარმოაჩენს შეფასების პროცესის სტრუქტურირებას და სტანდარტებთან შესაბამისობას.

2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;

დაწესებულებას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემის ვერიფიკაციის წესი. დოკუმენტის მიხედვით დაწესებულება ვერიფიკაციას განახორციელებს სამი მიმართულებით - შეფასებისას გამოყენებული ინსტრუმენტის ვერიფიკაციის, პროცესის ვერიფიკაციისა და მტკიცებულებების ვერიფიკაციის გზით. განხორციელდა ინტერვიურება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან რომელმაც წარმოადგინა სხვა პროგრამის ფარგლებში განხორციელებული შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მტკიცებულებები, ვერიფიკატორთა მიერ გაცემული რეკომენდაციები ძირითადად ეხებოდა შეფასების ინსტრუმენტების სრულყოფის საჭიროებას, აგრეთვე სტუდენტთა შეფასების მტკიცებულებების ტექნიკურ და დოკუმენტურ გამართულობას. შეფასების ზოგადი სტრუქტურა შესაბამისობაში იყო პროგრამის მიზნებთან და მოდულების სწავლების შედეგებთან, თუმცა საჭირო გახდა ინსტრუმენტების ფორმატის დახვეწა, დიფერენცირება და გარკვეული ტექნიკური დეტალების დაზუსტება. დაწესებულებამ აღნიშნულ რეკომენდაციებზე რეაგირება მოახდინა და განახორციელა მიზნობრივი ცვლილებები, როგორც შეფასების ინსტრუმენტების შინაარსობრივ ნაწილში, ისე მტკიცებულებების ფორმალურ-დოკუმენტური გაფორმების კუთხით. აღნიშნული ქმედებები წარმოადგენს ხარისხის უზრუნველყოფის უწყვეტი გაუმჯობესების პროცესის ნაწილს .

3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;

"საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის"-ის შესაბამისად უზრუნველყოფილი იქნება შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ ინფორმაციის/ მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვა და შენახვა შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით, ხოლო შეფასების უწყისები ინახება უვადოდ.

4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

პროფესიული განათლების მასწავლებლის და პროგრამის ხელმძღვანელის მიერ პროფესიული სტუდენტი კონფიდენციალურად მიიღებს უკუკავშირს, რეკომენდაციებს სწავლის შედეგების გასაუმჯობესებლად. დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი სასწავლო პროცესის თანამშრომლებთან ერთად პერიოდულად განახორციელებს პროფესიული სტუდენტების სწავლის შედეგების შეფასების მონიტორინგს. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მონიტორინგის შედეგები გათვალისწინებულ იქნება პროგრამის განვითარების კუთხითაც, რამეთუ მონიტორინგის შედეგად მიღებული ინფორმაცია გამოყენებულია საგანმნათლებლო პროგრამების გაუმჯობესების კუთხით - მაგ. შეფასების ინსტრუმენტების შეცვლა-გაუმჯობესება და სხვა. **პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სწავლის შედეგების შეფასების სისტემის მარეგულირებელი წესი, რომელიც ხელმისაწვდომია დაინტერესებული მხარეებისთვის;
- შეფასების შიდა ვერიფიკაციის შედეგები;
- მასწავლებლებთან და ადმინისტრაციასთან ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი

02.07.2025

თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: